

სსიპ „წამლის სააგენტო“

N 217  
თბილისი

თარიღი 02 / სექტემბერი / 2019 წ.

შედგენის ადგილი: ქ.

ელექტრონული საჯარიმო ქვითარი  
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 44<sup>12</sup> მუხლით  
გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის

1. სამართალდამრღვევი:

- ა) სამართლებრივი ფორმა და დასახელება: შპს „პოლმედ-გელ“
- ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი: 204973939
- გ) რეგისტრაციის მისამართი (იურიდიული მისამართი): ქ.თბილისი, მრევლიშვილის ქუჩა 2ა
- დ) საქმიანობაზე ნებართვის ნომერი: 000039

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი: პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა – აღნიშნული იურიდიული პირის მიერ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 მაისის N140/ნ ბრძანების პირველი პუნქტით და ამავე ბრძანების დანართი N4-ით დადგენილი წესით არ იქნა წარმოდგენილი 2019 წლის ივნისის თვის ინფორმაცია პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის შესახებ.

3. ჯარიმის ოდენობა: 500 (ხუთასი) ლარი.

4. აღნიშნული საჯარიმო ქვითარი (სამართალდარღვევის ოქმი) შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი გაცნობიდან 10 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6).

5. საჯარიმო ქვითარის გადახდის ინსტრუქცია:

დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითარის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება იძულებით აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

საჯარიმო თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ნებისმიერი საბანკო დაწესებულების მეშვეობით შემდეგი სავალდებულო რეკვიზიტების გათვალისწინებით:

- ა) გადამხდელის ვინაობა;
- ბ) მიზნობრიობაში უნდა მიეთითოს საჯარიმო ქვითარის ნომერი;
- გ) საბანკო კოდი: TRESGE22;
- დ) სახაზინო კოდი: 302003243;

6. თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) სამართალდამრღვევის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს სსიპ „წამლის სააგენტოში“ შემდეგ მისამართზე: 0119, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144.

საჯარიმო ქვითარი შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 10 დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ დროსაც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის თანახმად, უფლება აქვს გაეცნოს საქმის შესაღებს, მისცეს ანხილ-განმარტყიანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს მუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მძობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება;

ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის  
სამმართველოს სპეციალისტი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად



ნინო ქსოვრელი